

ფინანსური ანგარიშგება

შპს VITA LOGISTICS

2022 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა		31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	223337	101432	161451
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	376866	254668	484265
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4	12577	9491	9834
მარაგები		74558	49709	9683
სხვა	5	74558	49709	9683
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	117325	7867	7867
ძირითადი საშუალებები	6	1670441	1405073	20287
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		2475104	1828240	693387
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7	73457	100197	115848
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	7	25193	28192	37621
საგადასახადო ვალდებულებები	7	0	28972	32723
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		439846	0	0
სხვა ვალდებულებები	7	184970	246681	176315
სულ ვალდებულებები		723466	404042	362507
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	11	230000	230000	230000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	448226	-153013	100880
გადაფასების რეზერვი	11	1073412	1347211	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		1751638	1424198	330880
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2475104	1828240	693387
სულ მოკლევადიანი აქტივები		804663	423167	673100
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		723466	404042	362507

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	8	4453125	3437339
საქონლის გაყიდვიდან		0	0
მომსახურების გაწევიდან	8	3931655	3437339
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა	8	521470	0
გაყიდვების თვითღირებულება	10	-374902	0
საერთო მოგება		4078223	3437339
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	-700047	-663142
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	10	-32017	-7935
საპროცენტო ხარჯი	10	-17112	0
იჯარის ხარჯი	10	-18797	-28286
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	10	-2712343	-3000084
სულ საოპერაციო ხარჯები		-3480316	-3699447
საოპერაციო მოგება		597907	-262108
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	9	3331	8215
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		601238	-253893
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		601238	-253893
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-274499	1347211
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-274499	1347211
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		326739	1093318
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		1424198	330880
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		701	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		1751638	1424198

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	121905	-60019
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	121905	-60019
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	101432	161451
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	223337	101432

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს Vita Logistics წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 29.02.2012წელს, დღეს გადამხდელად 01.03.2012წელს . კომპანიის იურიდიული მისამართი ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შ.ნუცუბიძის ქ., N 14ბ, ბ. 120 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის თბილისი, ალ ყაზბეგის N12 ა . ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი გიორგი ჯოხაძე პირადი N01003019334 .

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ტვირთების ადგილობრივი და საერთაშორისო გადაზიდვები საქართველოს სალიზინგო კომპანიიდან ლიზინგით გაცემული მანქანების საშუალებით და საჭიროების შემთხვევაში ქვეკონტრაქტორის მანქანების საშუალებით.

2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოსყიდულია ლიზინგით გაცემული მანქანები და საბაზრო ღირებულებით აყვანილია კომპანიის ბალანსზე როგორც სარეზერვო კაპიტალი.

2022წელს მოხდა სარეზერვო კაპიტალის შემცირება რეზერვში აყვანილ მანქანებზე დარიცხული ცვლით .

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედ გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენს ლარს, 1 ევროსათვის შეადგენს 2.7020 ლარს. არაფულადი მუხლების გადაანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურეობის რეალიზაცია ძირითადად ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვები, ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით .

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სამეურნეო პროცესებში მარაგები გამოიყენება საწარმოო მოხმარებისთვის და მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობს შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 2-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშობა, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	2211	5283
ფული საბანკო ანგარიშებზე	221127	156168
სულ	223338	161451

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021
სავაჭრო მოთხოვნები	374403	254668
გადახდილი ავანსები მომწოდებლებზე	12577	8678
გადახდილი ავანსები თანამშრომლებზე	2462	813
დასაქმებულებზე წინასწარანაზღაურებული დაბეგრილი ხელფასი	47253	7866
საგადასახადო ზედმეტობა	70072	-
სულ	506767	272025

შენიშვნა 5

მარაგები

	2022	2021
ნედლეული და მასალები-საწვავი	7080	24500
სარეალიზაციო სხვა სმფ-ჯართი	67478	25209
სულ	74558	49709

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა :საწვავი 893984 ლარი; მანქანების რემონტზე-236966 ლარი;რეალიზებული საქონლის თვითღირებულება -374902ლარი;

შენიშვნა 6

ძირითადი საშუალებები

პერიოდი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ლიზინგით აღებული ქონება	სულ
31.დეკ.21	13597	5780	1463212	2763	-	1485352
შემოსვლა	2102	-	125442		457458	585002
გასვლა			-40863			-40863
31.დეკ.22	15699	5780	1547791	2763	457458	2029491
ცვეთა და გაუფასურება						
31.დეკ.21	7777	5603	64136	2763	-	80279
პერიოდის ცვეთა	454	31	284515	-	28597	313597
გასვლა			-34210	-	-	-34210
31.დეკ.22	8231	5634	314441	2763	28597	331069
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31.დეკ.21	5820	177	1399076	-	-	1405073
31.დეკ.22	7468	146	1233350	0	428861	1669825
გასული პერიოდის მეცდომის გასწორება	-	-85	700.48			615.48
31.დეკ.22	7468	61	1234050	0	428861	1670441

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის და მომსახურების შეძენები	71012	100197
მიღებული ავანსები	2445	-
ვალდებულებები საწარმოს პარტნიორებისგან	184970	246681
გადასახადელი ხელფასები	25193	28192
საგადასახადო ვალდებულება	-	32723
გრძელვადიანი სესხები	439846	-
სულ	723466	407793

შენიშვნა 8

ამონაგები

	2022	2021
მომსახურების რეალიზაცია ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვებიდან 0%-იანი	3930655	3425665
მომსახურების რეალიზაცია ტვირთების გადაზიდვებიდან ადგილობრივი 18%-იანი	1000	1173
სხვა რეალიზაცია	521470	10500
სულ	4453125	3437338

შენიშვნა 9

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2022	2021
სხვა შემოსავალი	309	2025
კურსთა სხვაობა	-	-
არასაოპერაციო ხარჯი-ტვირთის დაზიანების ანაზღაურება	3022	6190
სულ	3331	8215

შენიშვნა 10**სხვა ხარჯები**

	2022	2021
საპენსიო დანარიცხები	12485	101110
შრომის ანაზღაურება	700047	663142
საიჯარო ქირა	18797	28286
იჯარა ლიზინგი	-	359060
ცვეთა ძირითად საშუალებებზე	32017	7934
კომუნიკაციის ხარჯები	6900	6646
დაზღვევა	41792	31744
კომპიუტერის ხარჯები	55	-
საკონსულტაციო ხარჯები	-	473
სხვა საგადასახადო ხარჯი	15090	8858
საბანკო მომსახურება	6220	6339
საკანცელარიო ხარჯები	270	746
დაცვის ხარჯები	-	814
საოფისე ხარჯები	6877	1567
რეალიზებული სმფს თვითღირებულება	374902	-
სხვა საოპერაციო ხარჯები-სახმელეთო გადაზიდვებთან დაკავშ. ხარჯები	1174823	1407822
გახარჯული მასალები და საწვავი	1130923	1054600
საპროცენტო ხარჯები	17112	-
მანქანებთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	290653	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	26254	20304
სულ	3855217	3699445

შენიშვნა 11

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია
საწარმოს დირექტორის გიორგი ჯოხაძის მიერ



გ. ჯოხაძე